

ხელშეკრულება N 3/161
Contract N 3/161
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
On State Purchase
(Simplified Purchase)

თბილისი
Tbilisi

12 ივლისი 2013
12 July 2013

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 19 სექტემბრის #1771 განკარგულების შესაბამისად
The present purchase is carried out on basis of the Georgian law on the State Purchase: subparagraph v, paragraph 3, article 10¹.
Decree of the Georgian Government № 1771, 19 September, 2012

სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორის მერაბ ბოჭოიძის სახით და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“ შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი ინსტიტუტის კედლის მხატვრობის დეპარტამენტის დირექტორის დევიდ პარკის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

LEPL “National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia” hereinafter referred to as “the Client”, represented by the Director General of the Agency Merab Bochoidze and Private Limited Company “Courtauld Institute of Art”, hereinafter referred to as “the Supplier”, represented by the Director of the Conservation of Wall Painting Department, David Park, referred to as “the Parties” acting according to the Georgian Law of “State of Purchasing” make this Contract:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1. Definition of the terms

- | | |
|--|---|
| 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველს“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები. | 1.1 “The Contract on State Purchase” (hereafter “the Contract”) is a contract set between the “Client” and the “Supplier”, signed by the contract parties, with all enclosed documents and documentation indicated in the Contract. |
| 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის. | 1.2 “The cost of the Contract” is a total sum due to be paid by the Client organization to the Supplier for the complete and accurate fulfillment of the contract obligations. |
| 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე. | 1.3 “Day”, “week”, “month” – calendar day, week and month. |
| 1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას. | 1.4 “Client” – the organization which carries out the purchase. |
| 1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში. | 1.5 “Supplier” – a person/ entity who carries out the service in the frame of the present contract. |
| 1.6 „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი. | 1.6 “Service” is a subject defined by the article 2.1 of the present contract. |

2. ხელშეკრულების საგანი

2. Subject of the Contract

3.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით, ვარძიის სამონასტრო კომპლექსში შემაჯალი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის მოხატულობის საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასება, კვლევითი და მეთოდოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა (CPV კოდი 73300000) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესყიდვის ობიექტის ხარჯთაღრიცხვა და გეგმა-გრაფიკი მოცემულია დანართის სახით, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

2.1 The subject of the contract is: The conservation condition assessment and survey of the mural paintings of the North part of the Church of the Dormition of the Virgin at the Vardzia Monastery complex and methodological consultations according to the modern international standards and methodological approaches (CPV Code 73300000), through the simplified purchase. The timetable and the budget of the procurement object is attached to the present agreement and shall constitute its integral part (see attachment).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3. Cost of the Contract

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 36,000.00 (ოცდატექვსმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში. გადახდა მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

3.1 Total cost of the present contract is 36,000.00 (thirty six thousand) US Dollars equivalent in GEL. The payment is made at the official rate of Georgian Lari against the USD, set by the National Bank of Georgia on the date of payment.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიწოდების ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.2 The cost of the contract includes all expenses and taxation of the Supplier according the Georgian law.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.3 No change of the provisions of this contract, including the cost, is permitted, provided that such a change will increase an overall cost of the contract or deteriorate the terms of this contract against the Client, except the cases prescribed by the Article 398 of the Civil Code of Georgia.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

3.4 In case the conditions prescribed in the article 398 of the Civil Code arise, it is not allowed to increase the amount more than 10% - of the total value of the State purchase contract.

4. მხარეთა ვალდებულებები
4. Obligations of the Parties

- 4.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს შემდეგი მომსახურება:
- 4.1 The Supplier is obliged to provide the following service to the Client:
- ა. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით ვარძიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის ჩრდილოეთ მონაკვეთში წარმოდგენილი მხატვრობის მდგომარეობის შეფასება, კვლევითი მეთოდოლოგიური საკონსულტაციო მომსახურება, რაც გულისხმობს:
 - ა.1. მოხატულობის ისტორიის შესწავლა დოკუმენტებისა და ისტორიული გამოსახულებების შეგროვებითა და უშუალოდ მოხატულობის დეტალური შესწავლით. მხატვრობის სქემის (ან სქემების) მონაკვეთებისთვის შეთანხმებული სახელწოდებების მინიჭება;
 - ა.1 Study of the history of the paintings, through the assembly of documents and historic images, and through close examination of the paintings themselves. An agreed naming of the areas of the painting scheme (or schemes);
 - ა.2 მხატვრობის თავდაპირველი ტექნოლოგიის კვლევა: დეტალური დათვალიერება და ფიქსაცია, შესაბამისი კომპლექსური დოკუმენტირებით; საფუძველის, ნალესობის პირველი და მეორე ფენებისა და ფერწერული ფენის; in-situ მიკროსკოპირება; შერჩევითი სინჯების აღება ანალიზისთვის;
 - ა.2 Study of the original technology of the paintings: detailed examination and recording, including comprehensive imaging; in-situ microscopy of the primary support, secondary support and paint layers; selective sampling for analysis;
 - ა.3 ნალესობის პირველი და მეორე ფენების ინფრაწითელი თერმოგრაფია თავდაპირველი სტრუქტურისა და შემდგომი ცვლილებების დახასიათებისთვის;
 - ა.3 Infrared thermography of the primary and secondary support to characterize the original structure and subsequent alterations.
 - ა.4 მოხატულობის მდგომარეობის შესწავლა: არსებული მდგომარეობის შეფასება და ფიქსაცია, მდგომარეობის ვიზუალური კლასიფიკატორის, in-situ მიკროსკოპირებისა და კომპიუტერული გრაფიკული დოკუმენტირების ჩათვლით;
 - ა.4 Study of the condition of the paintings: assessment and recording of the present condition, including a visual glossary of condition phenomena, in-situ microscopy, and computer-based graphic documentation;
 - ა.5 დაზიანების ტიპისა და ხარისხის შესწავლა: მოხატულობის ამჟამინდელი მდგომარეობის შედარება წინა დოკუმენტაციასთან, მათი დაზიანების ტიპისა და ხარისხის განსასაზღვრელად;
 - ა.5 Study of the deterioration type and rate: comparison of the present condition of the paintings with previous documentation, in order to assess both the type and rate of their deterioration;
 - ა.6 დაზიანების გარემო მიზეზების შესწავლა: 2012 წლის ოქტომბერში დამონტაჟებული ეკლესიის გარე და ინტერიერის მიკროკლიმატის მონიტორინგის მონაცემების დამუშავება, პრეზენტაცია და ანალიზი. 2011-2012 და 2012-2013 წლებში შეგროვებული მონაცემებისა და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, მონიტორინგის სტრატეგიის ხელახალი შეფასება და საჭიროებისამებრ მონიტორინგის დამატებითი ადგილებისა და ტიპების დამატება;
 - ა.6 Study of the environmental causes of deterioration: downloading, presentation and analysis of the monitoring installed in October 2012 of the macroclimate outside the church and of the interior microclimate. Based on the data collected 2011-12 and 2012-13 and also on the condition assessment, reassessing the monitoring strategy and adding the additional monitoring locations and types as appropriate;
 - ა.7 აღდგენითი სტაბილიზაციის ღონისძიებები: ბათქაშის დაბზარვისა და საღებავის ფენის აშრეების შესწავლა და შეფასება; ფართოდ გავრცელებული
 - ა.7 Remedial stabilization treatments: study and assessment of the plaster delamination and flaking of the paint layer; for the problem of the widespread adhesion failure

ადჭეხიის შესუსტების [აშრევა] პრობლემის აღმოსაფხვრელად ინტენსიური სტაბილიზაციის ცდების განხორციელება.

- ა.8 გაწმენდის ცდები: მოხატულობის მდგომარეობისა და თავდაპირველი ტექნოლოგიის შესახებ შეძენილი დამატებითი ცოდნის, კერძოდ, 2012 და 2013 წლის ფაზებს შორის შუალედურ პერიოდში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, საჩვენებელი მონაკვეთების გაწმენდის ცდების განხორციელება და მისი სამეცნიერო შეფასება;
- ა.9 პროექტის განახლებადი მონაცემების მომზადება;
- ა.10 განხორციელებული სამუშაოების პროექტის ანგარიშის მომზადება.

- ბ. შემსყიდველს გაუწიოს 4.ა პუნქტში მითითებული უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება არაუგვიანეს 2013 წლის 20 ნოემბრამდე.
- გ. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის მოთხოვნიდან 7 კალენდარულ დღეში.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა. მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა საჭირო ინფორმაცია;
- ბ. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
- გ. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება.
- დ. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე საგადასახადო ორგანოებთან წარმოქმნილ ვალდებულებების დაფარვაზე.

[flaking], intensive assessed stabilization trials.

- a.8 Cleaning trials: based on the further knowledge acquired of the condition and original technology of the paintings, in particular the analysis undertaken during the interim period between the 2012 and 2013 phases, cleaning trials and scientific assessment of representative areas will be undertaken;
- a.9 Preparation of the Project updatable Data;
- a.10 Preparation of the Project Data on implemented works.

- b. To provide qualitative and complete service referred in the paragraph 4.a. no later than before 20th of November, 2013.
- c. To consider the claims of the Client and provide a reasoned answer to every question as soon as possible, ensure that the observed deficiency is improved in 7 calendar days after the Client demand.

4.2 The Client is obliged to provide the following service:

- a. Provide the Supplier with all the necessary information;
- b. According to this Contract to pay the cost of the services rendered to the Supplier.
- c. To carry out the inspection of the service and after the approval, adopt the implemented works.
- d. On the basis of this Contract to cover all duties before the Georgian tax authorities.

5. ხარისხი

5. Quality

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) დღეში განახორციელოს წუნდებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.1 The Supplier is obliged without additional costs to the Client to improve the deficiencies of the service during 7 (seven) days after receiving the claim of the Client.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი 6. Control of the Contract

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. ინსპექტირებას განახორციელებს

6.1 The Client will oversee the implementation of works periodically during the Contract period. The inspection will be implemented by the following authorized persons of the National Agency for

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: პაატა გაფრინდაშვილი, მანანა სურამელაშვილი, ქრისტინე დარჩია, მანანა ვარძელაშვილი.

Cultural Heritage Preservation of Georgia: Paata Gaprindashvili, Manana Suramelashvili, Christine Darchia, Manana Vardzelashvili.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი 7. Regulation for Adopting the Implemented Service

- 7.1 მომსახურების მიღება წარმოებს “მიღება-ჩაბარების” აქტის სახით. გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
- 7.2 საბოლოო პროდუქტის სახით მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს პროექტის განახლებადი მონაცემთა ბაზა და განხორციელებული სამუშაოების ანგარიში გრაფიკული და ფოტო დოკუმენტაციის თანხლებით, მყარ და ელექტრონულ ფორმატში შემდეგი მოცემულობით:
- ა. მყარი ვერსია - 3 ეგზემპლარი;
 - ბ. ელექტრონული ვერსია - 3 ეგზემპლარი (CD/DVD)
- 7.3 მომსახურების მიღებას აწარმოებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული ჯგუფი.

- 7.1 The implemented service will be adopted only after signature of the “Approval Act” signed by the Contract parties. The Approval Act shall enter into force since signing by the authorized representatives of the parties.
- 7.2 As a final product the Supplier shall provide to the Client the elaborated Project updatable Data and the final report on the implemented works with graphical and photo documentation - in printed and e-versions as following:
- a. Printed version – 3 copies;
 - b. E-version - 3 copies (CD/DVD).
- 7.3 The service is approved by the team from the “National Agency for the Cultural Heritage Preservation of Georgia” - prescribed in the article 6.1 of the present Contract.

8. ანგარიშსწორება 8. Payment

- 8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
- ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ აშშ დოლარი.
 - ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.
- 8.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.
- 8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

- 8.1 The payment shall be made on the following performance:
- a. The currency of the contract – USD.
 - b. The form of the payment – cashless payment.
- 8.2 The basis of the payment is the Approval Act.
- 8.3 The Client takes obligations to pay the Supplier costs for the service not later then 31st of December, 2013, after filing under the Approval Act.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
9. Prevention of the performance of the Contract

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.1 In the case of hindering factors preventing the performance of this Contract, this Party Shall immediately notify in writing form regarding the interfering circumstances, the possible period of its causes. The respondent Party immediately replies and notifies in writing from about its decision regarding this circumstances.

10.2 In case of hindering factors preventing the performance of this Contract, the parties will agree about new dates of performance the Contract, by the article 11, this Contract shall be executed adding relevant amendments.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში
10. Responsibilities of the Parties for violation of the Contract provisions

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების გადაცილების ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე განუხორციელებელი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.1 In case of exceeding dates and/or breaching the conditions stated in the Contract, the Supplier is obligated to pay a penalty for ever extra day 0.1% of the cost of not supplied goods/spoilage. The service will be approved, after signature of the Act of Approval.

10.2 In case of exceeding the dates stated by item 8.3 of this Contract the Client is obliged to pay forfeit of 0.1% of the sum for every exceeded day.

10.3 In case of the total sum of the forfeit exceeds 3 % (three) of the cost of the Contract, the Client has a right to terminate the Contract.

10.4 The payment of the forfeit does not liberate the Supplier from realization of essential obligations.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
11. Amendments in the Contract

- 11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
- 11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

- 11.1 Any amendment can be made in this Contract in written form signed by the authorized representatives of the both Parties.
- 11.2 In case of any unforeseen cause, when the necessity of modification of this Contract arises, the initiator of the amendments must notify the other side about the amendments in written form.

12. დავების გადაწყვეტა
12. Solution of Disputes

- 12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
- 12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

- 12.1 Disputes that arise during the Contract realization are managed by means of negotiations.
- 12.2 If during 30 (thirty) days after the beginning of such negotiations the Client and the Supplier will not manage to achieve Contract regarding the disputable issue, any of the Parties can apply to Georgian court according to stated rule.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა
13. Liquidation of the Contract

- 13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტით 10 (ათი) დღით ადრე.
- 13.2 ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

- 13.1 Each of the Parties is authorized to end activities envisaged by the present Contract if the other Party cannot ensure realization of its obligations or in other cases determines by the acting legislation. The other side must be informed about the above mentioned in written form 10 days prior.
- 13.2 According to written information by one of the Parties on the bases of Contract between the both Parties.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
14. Validity of the Contract

- 14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 31.12.2013

- 15.1 The present Contract comes into force from the date indicated at the head note and is valid including 31.12.2013.

15. ფორს-მაჟორი

15. Force Majeur

- 16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
- 15.1.1 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 15.1.2 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.
- 15.1 The Parties shall not be held liable for any delays in the performance or for nonperformance of their obligations hereunder if delay or non-performance was due to Force Majeur circumstances.
- 15.1.1 For the purposes of this article, “Force Majeur” implies circumstances or reasons beyond the control of the Parties, such as a war, natural disaster, epidemics, quarantines, acute recession of budgetary assignations and etc.
- 15.1.2 Immediately upon receipt of information about commencement of any of the Force Majeur circumstances which delay or otherwise interfere with the performance of this Contract the Parties shall notify each other to this effect in writing. In other case, they will not be released from liability for failure to perform or improper performance of the Parties' obligations hereunder.

16. სხვა პირობები

16. Other conditions

- 16.1 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.
- 16.2 ხელშეკრულების დებულებების განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.
- 16.1 The Contract is made in three equal power copies, in Georgian and English, one copy is handed to the Supplier, two to the Client.
- 16.2 In case of differences of the interpretation of the conditions of this contract, the priority is given to the Georgian text.

17. მხარეთა რეკვიზიტები
17. Requisites of the Parties

“შემსყიდველი”

“Client”

სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო“
LEPL “National Agency for Cultural
Heritage Preservation of Georgia”

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი,
0105, თაბუკაშვილი №5
Address: 5, Tabukashvili st., 0105, Tbilisi, Georgia

ტელეფონი: (995 32) 2 93 13 49,
Tel: (995 32) 2 93 13 49

საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №901915400
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ- 204562311

Bank Requisites:
Account N 901915400
State Treasury, Code 220101222
S/T/A. N 200122900
ID Code: 204562311

გენერალური დირექტორი
Director General



მერაბ ბოჭოიძე
Merab Bochoidze



„მიმწოდებელი“

“Supplier”

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“
Private Limited Company “Courtauld Institute of Art”

მისამართი: დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონი
WC2R 0RN, სანაპირო, სომერსეტ ჰაუსი

Address: Somerset House, Strand
London, WC2R 0RN , UK

ტელეფონი: +44 (0)20 7848 2871
Tel: +44 (0)20 7848 2871

საბანკო რეკვიზიტები:
განყოფილების კოდი: 16-00-38
ანგარიშის ნომერი: 10099029
Swift კოდი: RBOS GB 2L
IBAN კოდი: GB41 RBOS 1600 3810 0990 29

Bank Requisites:
Sort Code: 16-00-38
Account No: 10099029
Swift Code: RBOS GB 2L
IBAN Code: GB41 RBOS 1600 3810 0990 29

კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის
კონსერვაციის დეპარტამენტის დირექტორი
Director,
Conservation of Wall Painting Department
Courtauld Institute of Art



დევიდ პარკი
David Park

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიოში აპრობირებული თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით ვარძიის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის ჩრდილოეთ მონაკვეთში წარმოდგენილი მხატვრობის მდგომარეობის შეფასება, კვლევითი მეთოდოლოგიური საკონსულტაციო მომსახურეობის სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა

Implementation of the conservation condition assessment and survey of the mural paintings of the North part of the Church of the Dormition of the Virgin at the Vardzia Monastery complex and providing the methodological consultations, according to the modern international standards of methodological approaches

Budget

Activity Items / სამუშაოების დასახელება		განხ. ერთ.	უწროის სტენოლისტი / დღე 350 აშშ დოლარი/	უწროის სტენოლისტი / დღე 220 აშშ დოლარი/	დღეების რაოდენობა	ერთეულის ფასი აშშ დოლარში	სრულე ღირებულება აშშ დოლარში
1	მხატვრობის ისტორიის შესწავლა დოკუმენტებისა და ისტორიული გამოსახულებების შეგროვებითა და უშუალოდ მხატვრობის დეტალური შესწავლით. მხატვრობის სქემის (ან სქემების) მონაკვეთებისთვის შეთანხმებული სახელწოდებების მინიჭება. / Study of the history of the paintings, through the assembly of documents and historic images, and through close examination of the paintings themselves. An agreed naming of the areas of the painting scheme (or schemes):	კაც/დღე man/day	2		9	90,45	1628,10
				2	6	60,50	726,00
2	მხატვრობის თავდაპირველი ტექნოლოგიის კვლევა: დეტალური დათვალიერება და ფიქსაცია, შესაბამისი კომპლექსური დოკუმენტირებით; საფუძველის, ნალესობის პირველი და მეორე ფენებისა და ფერწერული ფენის; in-situ მიკროსკოპირება; შერჩევითი სინჯების აღება ანალიზისთვის / Study of the original technology of the paintings: detailed examination and recording, including comprehensive imaging; in-situ microscopy of the primary support, secondary support and paint layers; selective sampling for analysis	კაც/დღე man/day	2		15	105,80	3174,00
				2	11	198,20	4360,40
3	ნალესობის პირველი და მეორე ფენების ინფრაწითელი თერმოგრაფია თავდაპირველი სტრუქტურისა და შემდგომი ცვლილებების დახასიათებისთვის / Infrared thermography of the primary and secondary support to characterize the original structure and subsequent alterations	კაც/დღე man/day	2		7	87,50	1225,00
				2	6	123,00	1476,00
4	მხატვრობის მდგომარეობის შესწავლა: არსებული მდგომარეობის შეფასება და ფიქსაცია, მდგომარეობის ვიზუალური კლასიფიკატორის, in-situ მიკროსკოპირებისა და კომპიუტერული გრაფიკული დოკუმენტირების ჩათვლით / Study of the condition of the paintings: assessment and recording of the present condition, including a visual glossary of condition phenomena, in-situ microscopy, and computer-based graphic documentation	კაც/დღე man/day	2		5	87,50	875,00
				2	5	53,67	536,68
5	დაზიანების ტიპისა და ხარისხის შესწავლა: მხატვრობის ამჟამინდელი მდგომარეობის შედარება წინა დოკუმენტაციასთან, მათი დაზიანების ტიპისა და ხარისხის განსასაზღვრელად; / Study of the deterioration type and rate: comparison of the present condition of the paintings with previous documentation, in order to assess both the type and rate of their deterioration	კაც/დღე man/day	2		6	87,50	1050,00
				2	5	53,67	536,68
6	დაზიანების გარემო მიზეზების შესწავლა: 2012 წლის ოქტომბერში დამონტაჟებული ეკლესიის გარე და ინტერიერის მიკროკლიმატის მონიტორინგის მონაცემების დამუშავება, პრეზენტაცია და ანალიზი. 2011-2012 და 2012-2013 წლებში შეგროვებული მონაცემებისა და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, მონიტორინგის სტრატეგიის ხელახალი შეფასება და საჭიროებისამებრ მონიტორინგის დამატებითი ადგილებისა და ტიპების დამატება / Study of the environmental causes of deterioration: downloading, presentation and analysis of the monitoring installed in October 2012 of	კაც/დღე man/day	2		4	87,50	700,00
				2	3	53,67	322,01

7	აღდგენითი სტაბილიზაციის ღონისძიებები: ბათქაშის დაზარებისა და საღებავის ფენის აშრეების შესწავლა და შეფასება; ფართოდ გავრცელებული ადჰეზიის შესუსტების [აშრეება] პრობლემის აღმოსაფხვრელად ინტენსიური სტაბილიზაციის ცდების განხორციელება. / Remedial stabilization treatments: study and assessment of the plaster delamination and flaking of the paint layer; for the problem of the widespread adhesion failure [flaking], intensive assessed stabilization trials	კაც/დღე man/day	2		15	87.50	2625.00
				2	11	53.67	1180.71
8	გაწმენდის ცდები: მოხატულობის მდგომარეობისა და თავდაპირველი ტექნოლოგიის შესახებ შეძენილი დამატებითი ცოდნის, კერძოდ, 2012 და 2013 წლის ფაზებს შორის შუალედურ პერიოდში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, საჩვენებელი მონაკვეთების გაწმენდის ცდების განხორციელება და მისი სამეცნიერო შეფასება. / Cleaning trials: based on the further knowledge acquired of the condition and original technology of the paintings, in particular the analysis undertaken during the interim period between the 2012 and 2013 phases, cleaning trials and scientific assessment of representative areas will be undertaken	კაც/დღე man/day	2		15	87.50	2625.00
				2	12	53.66	1287.95
9	კამერალური სამუშაოები / desk based works	კაც/დღე man/day	2		30	87.50	5250.00
				2	27	53.67	2898.10
10	პროექტის განახლებადი მონაცემების მომზადება და საბოლოო დოკუმენტაციის მომზადება / Preparation of the Project updatable Data; Preparation of the Project Data on implemented works/	კაც/დღე man/day	2		14	87.50	2450.00
				2	10	53.67	1073.37
სულ თანხა / Total Sum							36000.00

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“
 მისამართი: დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონი
 WC2R 0RN, სანაპირო, სომერსეტ ჰაუსი
 ტელეფონი: +44 (0)20 7848 2871
 საბანკო რეკვიზიტები:
 განყოფილების კოდი: 16-00-38
 ანგარიშის ნომერი: 10099029
 Swift კოდი: RBOS GB 2L
 IBAN კოდი: GB41 RBOS 1600 3810 0990 29
 კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტის დირექტორი
 დევიდ პარკი

Private Limited Company “Courtauld Institute of Art”
 Address: Somerset House, Strand
 London, WC2R 0RN , UK
 Tel: +44 (0)20 7848 2871
 Bank Requisites:
 Sort Code: 16-00-38
 Account No: 10099029
 Swift Code: RBOS GB 2L
 IBAN Code: GB41 RBOS 1600 3810 0990 29
 Director,
 Conservation of Wall Painting Department
 Courtauld Institute of Art
 David Park

8	გაწმენდის ცდები: მოხატულობის მდგომარეობისა და თავდაპირველი ტექნოლოგიის შესახებ შემენილი დამატებითი ცოდნის, კერძოდ, 2012 და 2013 წლის ფაზებს შორის შუალედურ პერიოდში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, საჩვენებელი მონაკვეთების გაწმენდის ცდების განხორციელება და მისი სამეცნიერო შეფასება. / Cleaning trials: based on the further knowledge acquired of the condition and original technology of the paintings, in particular the analysis undertaken during the interim period between the 2013 and 2013 phases, cleaning trials and scientific assessment of representative areas will be undertaken								
9	პროექტის განახლებადი მონაცემების მომზადება ; კამერალური სამუშაოები / desk based works; Preparation of the Project updatable Data/								
10	საბოლოო დოკუმენტაციის მომზადება / Preparation of the Project Data on implemented works.								

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი“
 მისამართი: დიდი ბრიტანეთი, ქ. ლონდონი
 WC2R 0RN, სანაპირო, სომერსეტ ჰაუსი
 ტელეფონი: +44 (0)20 7848 2871
 საბანკო რეკვიზიტები:
 განყოფილების კოდი: 16-00-38
 ანგარიშის ნომერი: 10099029
 Swift კოდი: RBOS GB 2L
 IBAN კოდი: GB41 RBOS 1600 3810 0990 29
 კურტოს ინსტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტის
 დირექტორი
 დევიდ პარკი

Private Limited Company “Courtauld Institute of Art”
 Address: Somerset House, Strand
 London, WC2R 0RN , UK
 Tel: +44 (0)20 7848 2871
 Bank Requisites:
 Sort Code: 16-00-38
 Account No: 10099029
 Swift Code: RBOS GB 2L
 IBAN Code: GB41 RBOS 1600 3810 0990 29
 Director,
 Conservation of Wall Painting Department
 Courtauld Institute of Art
 David Park

David Park